ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01243051510**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: მილენა ხარბედია
პირადი ნომერი: 62001020143
მისამართი: სოხუმი გუმისთის მას. N 9 ბ. 31

განცხადების ნომერი: 01242954599-67
განცხადების თარიღი: 21/10/2024

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.13.03.050.002
- მისამართი :ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 3

განმცხადებელი-დამკვეთი :მილენა ხარბედია
პირადი ნომერი :62001020143
მისამართი :სოხუმი გუმისთის მას. N 9 ბ. 31

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი – კ-1 და ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01243051**
თარიღი: **31/10/2024**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01242954599-67
განცხადების თარიღი:	21/10/2024
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი – კ-1 და ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.13.03.050.002
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 3
მესაკუთრეები :	შპს "ვეფხვი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	მილენა ხარბედია
პირადი ნომერი :	62001020143
მისამართი :	სოხუმი გუმისთის მას. N 9 ბ. 31
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, №01.13.03.050.002 (ფართობი 593 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკის თანახმად ნაკვეთზე ასევე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

	"დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N2-ის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) არის სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1-0.2; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2----; მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3-0.8; საცხოვრებელი სიმჭიდროვე 10/1** მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი 600* კვ.მ შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 12*** *2020 წლის 1 იანვრიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთებზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის; **ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში; ***ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დასაშვები შენობებისთვის; საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფეხმავალი მაგისტრალებისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. ასევე ვრცელდება შუალედური ზონა (შზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების საშუალო ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი. საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიაზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია, რაც ითვალისწინებს არსებული კაფეს ფუნქციის ცვლილებას სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის ფუნქციით. შენარჩუნდეს შენობა, რკინა-ბეტონის კონსტრუქციით გამაგრდება პირველი სართულის კედლები და დაშენდება მეორე სართული, პირველი სართულის ფართის ოდენობით.
გადაწყვეტილების დასაბუთება :	განმარტებითი ბარათის თანახმად, რეკონსტრუქციის შედეგად არ იცვლება არსებული შენობით ათვისებული განაშენიანების ფართი, რეკონსტრუქციის შედეგად კი გაუმჯობესდება შენობის იერსახე. ნაკვეთი მდებარეობს აკაკი ბელიაშვილის ქუჩაზე და ესაზღვრება საზოგადოებრივი ფუნქციის შენობები. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში წარმოადგენს საგამონაკლისოდ დასაშვებ ფუნქციას, შესაბამისად საკითხი განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კუთხით. ამასთანავე, ვინაიდან არსებულ შენობას ფაქტიური მდგომარეობით გადამეტებული აქვს კ1 (0.6) კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებელი, საკითხი ასევე განიხილება ინდივიდუალური პარამეტრების მინიჭების კუთხით. საკითხი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა და გასცა დადებითი რეკომენდაცია (N01243042929 30/10/2024 წერილი). დამკვეთის მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის N750

	განკარგულებით აღებულია ვალდებულება, „ქონების“ განვითარების მიზნით უზრუნველყოს „ქონებაზე“ არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-8 პუნქტისმე-2ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეკრაციო ზონა 2-ში(რზ-2) სპორტულ - გამაჯანსაღებელი ცენტრი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას იმავე განაშენინაების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების შეცვლა დაუშვებელია (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში), გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა იმავე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კ-1 და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება დასაშვებია ერთჯერადად განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო ობიექტებისათვის ამ წესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, ფაქტობრივად ათვისებული პარამეტრების დაფიქსირების მიზნით;
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებითვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით იგეგმება მიწის ნაკვეთზე არსებული უსახური შენობის რეკონსტრუქცია და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტის ფუნქციით განვითარება, რაც წარმოადგენს ტერიტორიის რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას და არ ცვლის მიმდებარე გარემოს საერთო ქალაქგეგმარებით ხასიათს და სტრუქტურას.

	ზემოაღნიშნულისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის გათვალისწინებით, სააგენტოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.13.03.050.002) არსებული შენობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი ცენტრის ფუნქციით რეკონსტრუქციისა (პირველი სართულის კედლების გამაგრება და მეორე სართულის დაშენება) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებად მიაჩნია. მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად: კ1=0.6
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ დაგვიდგინოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საპროექტოდ იგეგმება სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა. უკვე მრავალი წელია არსებულ მისამართზე არის ძველი, ქალაქისთვის მიუღებელი იერსახის ერთსართულიანი კაფე (ათვისებულია 593 კვ.მ დან დაახლოებით 360,72 კვ.მ კ-1 კოეფიციენტი) რომელიც არ ფუნქციონირებს. გვსურს დასახლებული ადგილისთვის შევქმნათ კომფორტული გარემო და ავაშენოთ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც მითითებულ დასახლებაში არ გვხვდება, თუმცა დიდი მოთხოვნით სარგებლობს. გვსურს იგივე ფართის ათვისებით, მასზე რეკონსტრუქციის განხორციელებით მოვახდინოთ 2 სართულიანი სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა. პირველი სართული, რომელიც იქნება 360,5 კვ.მ. მეორე სართული ასევე-365 კვ.მ. კ-1 კოეფიციენტის გაზრდის მოთხოვნა ესადაგება უკვე არსებული შენობის მიერ ათვისებული ფართის მაჩვენებლებს. აღნიშნული ნაგებობის აშენების შემთხვევაში მკვეთრად გაუმჯობესდება როგორც ტერიტორიის იერსახე , ასევე ფუნქციურად დააკმაყოფილებს დასახლების ნება-სურვილს. მითითებულ ფუნქციურ ზონაში ნაკვეთის მარჯვენა მხარეს აშენებულია დიდუბის გამგეობა, ხოლო მარცხენა მხარეს არის ბენზინგასამართი სადგური. აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში დასაშვებია სპეციალური ზონალური შეთანხმებით სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა, ასევე სახელმწიფო ქონების სამსახურთან გვაქვს დადებული ხელშეკრულება 200 000 ლარის ინვესტიციის განხორციელებაზე, მზად ვართ შევასრულოთ მითითებული პირობა. ურბანული სამსახურიდან (წერილი 16-01233591090 თარიღი 25/12/2023) მითითებულ საკითხთან დაკავშირებით იყო მოთხოვნილი რეკონსტრუქციის დასაშვებად დარჩენილი მესამე ფართის ლეგალიზება და საშემოსავლოს პოზიცია, მიმაგრებულ ფაილებში იხილეთ ყველა მოთხოვნილი საბუთი , ასევე თავდაპირველი პროექტი , რომელიც იყო დამტკიცებული 2006 წლამდე. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ამოღებულია ფაილი, რომლის მიხედვითაც, 593 კვ.მ მიწაზე არსებული შენობა ნაგებობის საერთო ფართი გახლავთ 462.34 კვ.მ (მათ შორის სარდაფი ფართით: 101.62 კვ.მ.) შესაბამისად, სარდაფის ფართის გამოკლებით, ვღებულობთ შემდეგ მოცულობას: 462,34-101,62=360,72 კვ.მ. მოთხოვნილი შენობის პროექტის კროკები შემდეგნაირია: კ1- 0,6. კ2-1,2. კ3-0,4
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	გიორგი ვეფხვაძე
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების რეკვიზიტები :	
ნომერი :	"დროებითი შენობა-ნაგებობის ან/და დანადგარების განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-33 დადგენილება.
თარიღი :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სარეკრეაციო ზონა 2
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	სარეკრეაციო ზონა 2
კ - 1 :	0,2
კ - 2 :	-
კ - 3 :	0,8
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	0.0

მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0.6
კ - 2 :	1.2
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	ამჟამად ტერიორიაზე არის ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა (კაფე) საერთო ფართით 360,72 კვ.მ, რომელიც არ ფუნქციონირებს , გვსურს იგივე ფართის ათვისებით, მასზე რეკონსტრუქციის განხორციელებით მოვახდინოთ 2 სართულიანი სპორტულგამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა. 1 სართული, რომელიც იქნება 360,5 კვ.მ. ხოლო მეორე სართული იმავე ფართობის- 360,5 კვ.მ კ-1 კოეფიციენტის გაზრდის მოთხოვნა ესადაგება უკვე არსებული შენობის მიერ ათვისებული ფართის მაჩვენებლებს.
დასაბუთების ელექტრონული ალბომი :	
k2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. :	721.0



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01. 01243053**

თარიღი:**31/10/2024**

ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.03.050.002) არსებული შენობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი ცენტრის ფუნქციით რეკონსტრუქციისა (პირველი სართულის კედლების გამაგრება და მეორე სართულის დაშენება) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01242954599-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.03.050.002) არსებული შენობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი ცენტრის ფუნქციით რეკონსტრუქციისა (პირველი სართულის კედლების გამაგრება და მეორე სართულის დაშენება) და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად: კ-1=0.6

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01242954599-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდანერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

